საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 587 2021 წლის 14 დეკემბერი ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 იანვრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 იანვრის №45 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/01/2011; 010220020.10.003.016206) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების ვადისა და საფასურის“:

1. **პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. ამ დადგენილებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის ათვლა იწყება დაინტერესებული პირის მიერ სააგენტოში

განაცხადის შეტანის დღის მომდევნო სამუშაო დღეს ან განაცხადის 10:00 საათამდე შეტანის დღის იმავე სამუშაო დღეს და მთავრდება მომსახურების გაწევის ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად.“.

2. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადა და საფასური

№	მომსახურების სახე	მომსახურების ვადა	მომსახურების ტარიფი ლარებში (დღგ-ის ჩათვლით)
1	ღვინოზე, ყურძნისეული წარმოშობის სპირტიან სასმელსა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტზე შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემა, ევროკავშირში საექსპორტოდ განკუთვნილ ყურძნის ტკბილსა და ყურძნის წვენზე VI 1 სერტიფიკატის გაცემა	1 სამუშაო დღე 2 სამუშაო დღე 3 სამუშაო დღე 4 და მეტი სამუშაო დღე	300 250 150 50
2	მეწარმის მიერ დამტკიცებული ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმლის წარმოების ტექნოლოგიური ინსტრუქციის შეთანხმება		თითოეულ დასახელებაზე 300

3	ღვინოსა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტიან სასმელზე ახალი ადგილწარმოშობის დასახელებისა და ახალი გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციისათვის საჭირო მონაცემთა შესწავლა-დადგენაზე დასკვნის მომზადება და გადაცემა		500
4	ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმლის ორგანოლეპტიკური შემოწმება		ყოველ ნიმუშზე 50
5	სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს (სასაქონლო ნიშნის) ლოგოს გამოყენების უფლებით სარგებლობა		თითოეულ ბოთლზე 0,05

.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 3 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**